



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #086/15<sup>1</sup> გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

მარიამ სურმანიძე (სტუდენტი)

### საქმის ფაქტები:

საჩივრის ავტორი აწარმოებდა სამოქალაქოსამართლებრივ დავას თავისი მეზობლის წინააღმდეგ. მომჩივანი განმარტავს, რომ მის ნაცნობს პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატმა გაუგზავნა მომჩივანისა და მისი ნაცნობის ფოტო შეურაცხმყოფელი წარწერით, რომელშიც მომჩივანს მოიხსენიებდა შემდეგი ფრაზებით: „სხვების ქონებაზე მონადირენი, მტაცებლები, უფრთხილდით, ესეთი ადამიანები საშიშია, რადგან ცხოვრობენ სხვათა ცხოვრების დანგრევის გეგმებით და თავისი ცხოვრება თავზე ენგრევთ, ცხოვრობენ სხვების სახელის გატეხვაზე და თავისი სახელი უტყდებთ, ცხოვრობენ სხვების რეპუტაციის შელახვაზე და იმიჯის დაცემაზე და თავისი არ გააჩნიათ, გეშინოდეთ ყველას და გეცოდებოდეთ ყველას, რას იზამთ, ასეთებიც უნდა აიტანოთ, რადგან ამ საზოგადოებაში ცხოვრობენ და ხომ არ დავხოცავთ, როგორი ხორცმეტებიც არ უნდა იყვნენ ამ საზოგადოების? სამწუხაროდ, საზოგადოების შემარცხვენელი ჭორიკანებიც ამ საზოგადოების განუყოფელი ნაწილია და გიტანთ, მაგრამ შორს ვართ თქვენგან და ვერ ეგუებით? თქვენ ხომ ეს საზოგადოება არ გიყვართ და რას ელით ამ ცხოვრებისგან?“ აღნიშნულს ადასტურებს მომჩივანის მოწმე, რომელსაც გაეგზავნა ეს წერილი საქალაქო სასამართლოს კონვერტით. ასევე მოწმე აღნიშნავს, რომ საქართველოს ფოსტაში მიიღო ინფორმაცია, რომ გამგზავნი პირი იყო ზემოაღნიშნული ადვოკატი და ასეთივე წერილი მის შვილსაც გაეგზავნა. მომჩივანი მხარე ასევე აღნიშნავს, რომ ფოტო გადაღებულია ადვოკატის შვილის მიერ, რადგან როდესაც ის შეხვდა თავის ნაცნობს გიმნაზიასთან, იქვე ბავშვები და მათ შორის, ადვოკატის შვილიც იღებდნენ ფოტოებს. ადვოკატი აღნიშნულ გარემოებებს უარყოფს და მიაჩნია, რომ ბრალდება უსაფუძვლოა და მომჩივანმა თავად დადგა აღნიშნული სცენა. ეთიკის კომისიამ თავისი ინიციატივით მოიწვია საქართველოს ფოსტის წარმომადგენელი - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი, რომელმაც განმარტა, რომ ვერ დაადასტურებს იმ გარემოებას, რომ საქმეში არსებული სადავო კონვერტის გარეკანზე ასახული გამგზავნის მონაცემები შეესაბამება სინამდვილეს. სპეციალისტის განმარტებით, საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში არ მოწმდება გამგზავნი პირის იდენტიფიკაცია და იმის ალბათობა არსებობს, რომ მოპასუხე ადვოკატის ნაცვლად ნებისმიერ პირს გაეგზავნა ეს კონვერტი საჩივრის ავტორისათვის. ასევე, საქართველოს ფოსტაში არ არსებობს ისეთი მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც დადასტურდება, რომ საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში წერილი მიიტანა მოპასუხე ადვოკატმა.

### პროცესუალური ისტორია:

კლიენტმა ადვოკატის წინააღმდეგ შეიტანა საჩივარი ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის მიმართ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 3(ა), 5(გ), 6.1 და აპკ-ის 9.1 მუხლების დარღვევის ფაქტზე. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახდელის ფორმად შესაძლებელი იყო გამოყენებულიყო საადვოკატო საქმიანობის უფლების

<sup>1</sup> <https://gba.ge/pdf/5e296fa8229ae.pdf/086.15%20gamartleba%2001%2005%2018.pdf>

შეჩერება ან ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, რის გამოც საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის მთლიან შემადგენლობას.

### **სამართლებრივი შეფასება:**

ადვოკატმა გზავნილის გაგზავნასთან მიმართებით უნდა განახორციელოს კანონმდებლობით დაშვებული და სასამართლოს მიერ დაწესებული ქმედებები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მიხედვით, დაუშვებელია სასამართლოს კონვერტის გამოყენება პირადი მიზნით, რაიმე სახის ინფორმაციის მიწოდებისათვის, პოზიციის გამოხატვისათვის, შეთავაზებისათვის და ა.შ., რადგან ასეთ მოქმედებას მხარე შეჰყავს შეცდომაში, მიღებული გზავნილი მხარის მიერ აღიქმება, როგორც სასამართლოსგან მიღებული ინფორმაცია. ეთიკის კომისიამ საქართველოს ფოსტის ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსისგან მიიღო სრული ინფორმაცია საქართველოში ფოსტის შესახებ არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის თაობაზე წერილის გაგზავნის დროისათვის, ასევე სპეციალისტისაგან მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შპს „საქართველოს ფოსტაში“ არ არსებობს ისეთი მტკიცებულების მოძიების შესაძლებლობა, რომლის მიხედვითაც დადასტურდება იმ პიროვნების ვინაობა, რომელმაც საქართველოს ფოსტის სერვის ცენტრში ნოემბერში წერილი მიიტანა. კომისიამ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით დაადგინა, რომ ვერ დასტურდება ადვოკატის მიერ სადავო კონვერტების გაგზავნის ფაქტი; ასევე ვერ დასტურდება ადვოკატის შვილის მიერ საჩივრის ავტორისა და მისი ნაცნობისთვის ფოტოს გადაღების ფაქტი. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია აღარ მსჯელობს ტექსტის შინაარსობრივ მხარეზე, კერძოდ, ფოტოსურათზე დართული ტექსტის შინაარსი არის თუ არა საჩივრის ავტორისათვის შეურაცხმყოფელი.

### **დასკვნა:**

დისციპლინურ საქმეზე ადვოკატს არ დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა, რადგან ვერ დადასტურდა საქართველოს კანონის 3(ა), 5(გ), 6.1 და აპკ-ის 9.1 მუხლების დარღვევა.

### **განსხვავებული აზრი:**

დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის სამმა წევრმა დააფიქსირა განსხვავებული პოზიცია შედეგთან დაკავშირებით, კერძოდ: საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მათი აზრით, ადვოკატისთვის სასურველი იქნებოდა კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა, რადგან კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არ არის სახდელი, ეს არის ადვოკატზე დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება, რათა დამკვიდრებულ იქნეს ადვოკატის ქცევის მაღალი სტანდარტი.